კვირა 1919 წ. თიბათვის 15 № 122
ყოველდღიური გაზეთი

კვირა 1919 წ. თიბათვის 15 № 122
ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს —120 მ. ცალკე (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი [illegible] პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ [illegible] თის კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!..

ყურადღება!.. ყურადღება!..

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

**კონიაკი**

**დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო**

**ძმ. სესიაშვილებისა**

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—9)

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი მშობლები დეკანოზი ერმალოზი და ნინო გიორგის ასული, დები: ანეტა, ქაქილა და ვერიჩკა, ძმები დათიკო, პეტრე და პავლე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მე-6 პოლკის ექიმის

**პლატონ ერმალოზის ძის**

**ვეფხვაძის**

ქ. თელავიდან გადმოსვენება მოხდება სამშაბათს დილით თიბათვის 17 დაბა ხარაგოულში, სადაც განსვენებული დაკრძალული იქნება საკუთარ სასაფლაოზე 1—2445—1

ბიძა დეკანოზი, ფარნაოზ ვეფხვაძე, ბიცოლა ზინა რომანოზის ასული, ბიძაშვილები: ვანო, კოწია, მედეა, გოგლი და ლევან ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს თიბათვის 17, დაბა ხარაგოულში მოხდება დაკრძალვა მე-6 პოლკის ექიმის

**პლატონ ერმალოზის ძის**

**ვეფხვაძისა**

რომელსაც გადმოასვენებენ ქ. თელავიდან.
1—2445—1

გამგეობა და წევრები ბაღ-მევენახეთა ამხანაგობა „ივერიისა" ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ სოფ. ბაკურციხეს, ავაზაკებმა იმსხვერპლეს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი

**ალექსანდრე პეტრეს ძე**

**სარაჯიშვილი**

პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღეს, 2 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1—2444—1

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს, თიბათვის 21-ს შუადღის 12 საათზე მოხდება

**საჯაროდ გაცემა**

სადუქნე ადგილისა, რომელიც არშაკუნისა და რუსთაველის (გოლოვინის) ქუჩ. კუთხეში მდებარეობს. ყოველგვარი ცნობები მიიღება თვითმართველობის საიჯარო განყოფილებაში. 3—106—1

თბილისის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ 1919 წ. თიბათვის 21-ს დღის 12 საათზე დანიშნულია მალაკნის მოედანზე საქალაქო სასწორის

**იჯარით გაცემა**

ყოველგვარი ცნობები მიიღება მე-4 საიჯარო განყოფილებაში სამ საათამდე.
3—106—1

შაბათი **ქართული კლუბი** 22 თიბათვე

**მესხეთ-ჯავახეთის დღე**

1—უ—1 **დიასახლისი ქ-ნი მარიამ რამიშვილისა**

**სახალხო თეატრი**

კვირას, თიბათვის 15-ს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება გუცკოვის ტრაგედია

**ურიელ აკოსტა**

ურიელის როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ 1—108—1

**მეორე ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭო**

აუწყებს კლუბის წევრთ და კანდიდატებს, რომ კვირას, 15 თიბათვეს, დილის 10 საათზე დანიშნულია წლიური

**საზოგადო კრების** გაგრძელება

დღიური წესრიგი: 1. 1918 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3 არჩევნები: მამასახლისთა საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა, კლუბის წევრთა და კანდიდატთა და სხვა. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

1—107—1

1919 წელს, თიბათვის 15, ორშაბათს, საათის 1-ზე ქალაქის სამართველოს დარბაზში მოხდება

**საჯარო ვაჭრობა**

წყალსადენის მიწის გაცემაზე

ყოველივე ცნობების მიღება ზემო აღნიშნულის შესახებ მოქალაქეთ შეუძლიათ მიიღონ წყალსადენის გამგედან დილის 9—2 ს-დე და აგრეთვე წყალსადენის სახელოსნოებში დილის 8—9-დე (კიროჩნის ქ. № 53) 1—109—1

**მეორე ქართული კლუბი**

(მიხეილის პრ. № 131)

13, 14 და 15 ივნისს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული

**კინემატოგრაფიული არშიები:**

I. **დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული.**
II. **სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში.**
III. **ქ რ ი ს ტ ი ნ ე**

კინო-დრამა 4 მოქმედებად—გ. წერეთლის მოთხრობიდან. სცენარიუმი ალ. წუწუნავასი. გამოცემა გ. გოგოლაძისა.

## ბათომიდან

დენიკინი ბათომიდანაც შემოტევას გვიპირებს. ცნობაა, რომ ბათომში მისი სახელით მოწოდებაა გაკრული, რომელიც მოუხმობს ყოფილი რუსეთის ყველა ქვეშევრდომ ოფიცერს მოხალისეთა ჯარში ჩაეწეროს. თადარიგია დაჭერილი, რომ ადგილობრივი ელემენტებისაგან ჯარის კაცებიც მოკრიბონ. ყველას დიდ ჯამაგირს პირდებიან და მომავლის პერსპექტივასაც ულვიძებენ. დენიკინის მოქმედებამ ბათომის მხარეში დაჰკარგა საიდუმლო განზრახვისა და მოქმედების ხასიათი ყველაფერი აშკარათ სწარმოებს. მოურიდებლად და ცინიკურად საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ოფიცრებისა და ჯარის კაცებისაგან ლამობენ საქართველოს დამამხობელ შეიარაღებული ძალის შექმნას. ამაზე შორს ვეღ წავა თავხედობა და ჩვენი აბუჩად აგდება. ვისი იმედით და ვისი დახმარებით ბედავს დენიკინი ამ ავანტიურას? ცხადია, ყველასათვის, რომ მას ხელს უწყობს და მის მოქმედებას სანქციას აძლევს ინგლისის ადგილობრივი სარდლობა. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ ყოველ წრეს გადასულია ადგილობრივი სარდლობის თვითნებობა და რომ ყოვლად შეუძლებელია მთელმა საქართველომ ენერგიული პროტესტი არ განაცხადოს ინგლისისა და მის მოკავშირეთა ცენტრალურ მთავრობების წინაშე აქაური სარდლობის ყოვლად შეუწყნარებელი მოქმედების გამო. ჩვენ გვითქვამს და კვლავ ვიმეორებთ, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია რომ ლონდონის, ან პარიზის კაბინეტი მორალური მონაწილე იყოს იმ დაქვეითებულ, ორპირა მოქმედებისა და ვერაგობის, რომელსაც ჩადის ადგილობრივი სარდლობა საქართველოს მიმართ დღიდან მისი აქ მოსვლისა. ჩვენ სულ წინააღმდეგში ვართ დარწმუნებული და ამისი საბუთიც გვაქვს. მოითით ყოფნა თავის უმაღლესი მთავრობის კონტროლისა და ხელმძღვანელობისაგან, აქაურ გენერლებს საბუთსა და საშუალებას ძლევს თავისუფლად იმოქმედონ. და ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს თავისუფალი მოქმედება გენერლების დღევანდელის მზგავსს პირობებში იმ უცხო ქვეყნებში, სადაც ომის ლოღიკის ძალით შესულან, წესიერების დასამყარებლად!

ასეთ შემთხვევაში მთელი ქართველობა უნდა ენერგიულად გამოვიდეს მათი მხილებით, სადაც ჯერ არს. ეს ჩვენთვის მით უფრო ადვილია, რომ ქართველი მოწინავე საზოგადოება ტრადიციულად აღზრდილია ინგლისის და საფრანგეთის პატივცემაში და ტრადიციულად მი სწრაფვის მათთან კულტურულ და პოლიტიკურ დაახლოვებისაკენ

და მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ამ ტრადიციული მისწრაფების კულტურულ-პოლიტიკური საბუთები გაბათილებულ არ იქნას თავისუფალ მომქმედ ადგილობრივ სარდლობის მიერ.

ვიდრე ბათომის ბედი გამოირკვეოდა, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრატიული მოვლა-პატრონობა ანტანტმა ინგლისს მიანდო. არც ერთი სხვა ერისა და ქვეყნის არც სამხედრო ძალას და არც პოლიტიკურ-ადმინისტრატიულს, არავითარი უფლება არ ჰქონდა ბათომის ტერიტორიაზედ ფეხის დადგმისა. ვიმეორებთ, პარიზის კონფერენციის ახალ განკარგულებამდე, ბათომში მარტო ინგლისის ბრძანებლობა უნდა ყოფილიყო. დღეს კი გენერალი დენიკინის აგენტები აქ დაპარპაშებენ და რაზმებს ადგენენ საქართველოს წინააღმდეგ. ამის ნებართვას და სანქციას, ცხადია, აძლევს ინგლისის ადგილობრივი სარდლობა.

ამით აშკარაა, ადგილობრივი სარდლობა არღვევს ანტანტის პირველ დავალების აზრსა და შინაარსა. ამას გარდა იგი, ხელს უწყობს რა დენიკინსა და მის აგენტებს საქართველოს ტერიტორიაზედვე საქართველოს საწინააღმდეგო ჯარის შეკრებაში, თვით საქართველოსაც ებრძვის და ეშვება.

აშკარად, სრულიად დაუფიქრებლად იგი სარდლობა თავიდან ბოლომდის საქართველოს წინააღმდეგ საბედისწერო ინტრიგებს ეწევა. შეუძლებელია, რომ ეს ცენტრის პოლიტიკა იყოს: და ჩვენც სწორედ ეს უნდა გამოვამჟღავნოთ, რომ ნორმალური ურთიერ-

# უკანასკნელი ცნობები

თუ ხუთ დღეში გერმანელები პასუხს არ გასცემენ საზავო პირობებზე ან უარს იტყვიან, მაშინ მოკავშირენი ბერლინზე შეტევას დაიწყებენ.

ებერტმა განაცხადა, რომ იგი ხელს მოაწერს მხოლოდ ისეთ ზავის პირობებს რომლის ასრულებაც შეიძლება.

აზერბაიჯანიდან მოსული ცნობით, კონსტანტინოპოლში ამბოხება მოხდა. მდგომარეობა გართულებულია.

გერმანიის მთავრობამ პროტესტი განუცხადა მარშალ ფოშს იმ მუშათა დაპატიმრებისათვის, რომლებიც რეინის რესპუბლიკის საპროტესტო გაფიცვაში იღებდნენ მონაწილეობას.

თობა დამყარდეს ჩვენსა და ინგლისს შორის და რომ ქართველი ხალხის მუნებრივ მიდრეკილებას და სიმპატიას ინგლისისადმი მავნე პიროვნებების ბოროტმა სულმა გზა არ შეუკრას. ჩვენმა მთავრობამ უნდა მიაღწიოს ამ საიდუმლოების გახსნას და მაშინ ჩვენი პოლიტიკაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

უნდა მოვსთხოვოთ ინგლისის ადგილობრივ სარდლობას, აკრძალოს ბათომის ოლქში, რაიმე სამხედრო ძალის მოწყობა. ვისგანაც არ უნდა იყოს იგი, საქართველოს წინააღმდეგ და მასთან სამტროთ.

ხოლო თვის მხრით ჩვენმა მთავრობამ ფიცხლად უნდა მიაგზავნოს სამხედრო ძალა ბათომის ფრონტს და უდიდესის სიმკაცრით აღკვეთოს ყოველგვარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული.

დრო არ იცდის!

## საქართველოს მხედრობას!

დღეს არ უნდა იყოს საჭირო მისდამი მიმართვა: არის დრო, როდესაც ყველა თვის საქმეს იცნობს და უნიშნოთ მიჰყვება ამ სმენას და არის მხოლოდ მოტივი და და ერთი ხმა, რომელიც იძლევა ამ ნიშანს და იგი გასაგები ხდება ყოველი შესმენილისათვის.

ეს არის ხმა ეროვნული შეგნების და ამ ხმას უმაღლესი რეზონანსი უნდა ჰქონდეს ერში და ღრმესი შესავალი ყოველი მოქალაქის გულში.

ეს არის შეგნება სამშობლოს გასაჭირის და იგია უწმიდესი გრძნობა ადამიანის რწმენისა.

დღეს არის, სწორეთ, დრო ამ შეგნების გამომჟღავნების და რამდენათ ღრმათ და სრული გამოჩნდება იგი, იმდენათ მტკიცე და ურყევი იქნება სამშობლოს კეთილდღეობაც.

საქართველოს ყურადღება და მისი თვალი მიმართულია დღეს ქართულ მხედრობისადმი და მის წრეში უნდა გამოჩნდეს, თუ რაოდენ ძლიერია და მაღალი მასში მამულიშვილური გრძნობა.

ქართული ხმალი ყოველთვის ელვარებდა თავისი სიბასრით და საუკუნოების ფოლადში გაიბრძმედა მისი ძალა და გამტანი ახოვანება.

ქართველი მხედარი ყოველთვის მარჯვე იყო მის მოქნევაში და ერთ გული ხმალი მუდამ დარაჯობდა სამშობლოს თავისუფლებას.

ამიტომაც იყო, რომ ქართველი მხედრობა საამაყო თვალი იყო თავის სამშობლოსი და განსაკუთრებულ პატივში იმყოფებოდა მამულიშვილთა შორის.

მაგრამ დროთა ტრიალში და საერთო არევის დროს, როდესაც რევოლუციის ალში დაიწვენ ძველი ჩვეულებანიც და დაინგრა საუკუნოებრივი შეგნებაც წლიდან წლამდე გარდამავალ ტრადიციათა, ქართული მხედრობაც საერთო არევაში მოხვდა და მისი ფასიც და პატივიც დაეცა ისევე როგორც განიავდა მრავალი სხვა საფასური.

საქართველოში დაკნინდა პატივი საქართველოს წინაშე და რა გასაკვირი იქნებოდა, რომ დაკნინებულიყო ფასი მის მოდარაჯეთ

მრავალი მხედარი მოსცილდა მაშინ მის თავის სამშობლოს და უცხო ლაშქარში გავიდა, მისთვის, რომ:

ყოველ მხედარს აქვს ორი სამსახური ისევე, როგორც ბავშვს ორი მოკრძალება:

ღმერთისა და დედის წინაშე.

ყოველი მხედარი მუხლს იყრის სამშობლოს და ხმლის წინაშე.

მისი სამშობლო უარყვეს, მაგრამ მას დარჩა ხმალი და ამ ხმლის სამსახურისთვის გაიხიზნა იგი უცხოეთში, რადგან სამშობლოში სარბიელი აღარ დაურჩა

მაგრამ დღეს ისევ იწყება ძველი საქართველოს ახალი შენება და ამ შენებაში ისევ სდგება ძველი შეგნება და მხედრობაც უნდა მოჰიდეს თავის ადგილის მისადებით.

ახალ საქართველოში ეს ადგილი ძველი პატივით შეიმოსება, მაგრამ თვით მხედრობამაც უნდა მოახდინოს ძველი ტრადიციათა რესტავრაცია.

ყოველი მხედარი და პატრიოტი ზიზღით მიიღებს ამბავს საქართველოსაგან განდგომილ მეომარის გენ. ნათიშვილის შესახებ, რომელიც დენიკინის ლაშქრისთვის რაზმავს ხალხს ბათომში და სამშობლოს მტერთა ბანაკში

შეიძლება პატიება ყოველივე დანაშაულის, მაგრამ მოღალატეობა შავ ლაქათ გადადის მემკვიდრეობაშიც კი, და ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ რომ გენერალი ნათაშვილი მწუხარე გამონაკლისი იქნება ჩვენს მხედრობაში.

და ისიც კი, ვინც საქართველოს განშორდენ მწუხარე შეურაცხყოფით, დღეს უნდა დაბრუნდნენ უკან, რადგან მათ ითხოვს მათი სამშობლო, რომელიც ყოველივე ანგარიშის ზევით სდგას.

საქართველო დღეს ითხოვს ერთგულ დამცველებს და ვინც მის ხმას დღეს არ შეისმენს, ეს ხმა სამუდამოთ დაიკარგება მისთვის, მაგრამ დაიკარგება იგიც თავის სამშობლოსთვის.—

მოღალატის ნიშნით;

ეს ნიშანი კი, ყველა სხვა ნიშანზედ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იქნება მის ადამიანობისთვის, რომელ წრეშიც და სახელმწიფოშიც არ უნდა მოხვდეს იგი.

ლ. ჯ.

## დაშნაკელები და ბოლშევიკები

დენიკინის გამოლაშქრებამ ამიერკავკასიაზე სომხების პოლიტიკურ მოღვაწეებს აუშალა ახალი მადა პროვოკაციის და სპეკულიაციის.

სომხები გამოცდილებამ დაარწმუნა რომ პოლიტიკაში რაც მეტ თაღლითობას და მუხანათობას გამოიჩენენ, მით უფრო მეტი სარგებელი დარჩებათ, რაც შეეხება მაღალ მორალს — ამაზე სომხებმა დიდი ხანია აიღეს ხელი და ჩვენ დროის გაუკუღმართებამ გამოაცხადეს. ვერავინ იტყვის, რომ სომხები ამით აგებდენ რამეს, ჯერჯერობით მაინც.

ამღვრეულ წყალში ისე მარჯვეთ არავინ იჭერს თევზებს, როგორც სომხები და აკი მოასწრეს კიდეც ევროპის საზოგადოებრივი აზრის გაყრუება და ყოველი დღე ახალ დაპირებას და იმედს აძლევს სომხებს, რომ მათი ცხოვრება კარგათ მოეწყობა

სომხები არ სჯერდებიან ევროპის გაზეთების თანაგრძნობის წერილებს და კონგრესების რეზოლუციებს და უფრო ფაქტიურ და მატერიალურ დახმარებას თხოულობენ და იღებენ კიდეც.

ასეთმა ბედის გაღიმებამ სომხები ძალიან გაათამამა და ნაცადი ხერხები, რომელსაც უწინ ფარულად ხმარობდნენ დღეს აშკარა მეთოდათ გაიხადეს.

ისტორია დაიმახსოვრებს ალბად დაშნაკელების ვერაგობას დენიკინის ლაშქრობის დროს, მაგრამ სომხები ჯერ მაინც არხეინად თამაშობენ.

ვის არ ახსოვს ბაქოს გარემოცვის დროს დაშნაკელების მაქსიმალისტობა და ბოლშევიკობა.

მაშინ ლენინი მოდაში იყო და საკმაო ფულიც და სხვა სახსარიც ჰქონდა, რომ სომხებს მისი ორიენტაცია მიეღოთ და აკი გამოიყენეს კიდეც. ბიჩერახოვის მოსვლის დროს, სომხების მაქსიმალისტები ბიჩერახოველებათ იქცენ და დღეს ბაქოს კარებთან უნდათ მიიღონ დენიკინი და მისი საშუალებით შური იძიონ აზერბაიჯანზე.

მაგრამ სომხების საქმესა და ინფორმაციის შორის მაინც დიდი საზღვარია.

დაშნაკელები გულახდილად ელიან დენიკინს, მათი გაზეთი „აშხატავორი“ კი ეხება თბილისში დანიშნულ მუშათა კონფერენციის მოწყობას და შემდეგ პროვოკაციას ეწევა.

მენშევიკები დათანხმდენ ტფილისში კონფერენციის მოწვევას თუ დღის წესრიგში მარტო დენიკინის საკითხი იქნებოდა დასმული და სხვა სადაო საკითხები კი უნდა მოხსნილიყო.

„აშხატავორი“ არა გულწრფელათ და ცინიკურათ ლაპარაკობს პროლეტარიატის სოლიდარობაზე და რევოლუციის მონაპოვართა დაცვაზე და შემდეგ სწერს:

„ყოველი მოქალაქე, პროლეტარიატის სოლიდარობისთვის მებრძოლი სალამს მიუძღვნის ამ ახალ ორგანიზაციას, რომელიც მუშებს აახლოვებს და იმედს გვიმოსაქვამს რომ კონფერენცია იმსჯელებს არა მარტო დენიკინზე, არამედ იმ საჭირ-ბოროტო საკითხებზედაც, რომელთაც მუშებისთვის დიდი ინტერესი აქვთ. ერთი შედეგი ამას ის მოყვება, რომ ურთიერთშორის დაახლოვება ქართველ სოციალ-შოვინისტებს გამოაფხიზლებს ნაციონალისტურ „უკაროდან“, ჰქვაში ჩააგდებს და ხელს აიღებინებს ცარიზმის პოლიტიკაზე, რომელსაც ეხლა იწევიან და ნამდვილ რევოლუციონურ სოციალიზმის გზაზე დააყენებს“.

მხოლოდ დაშნაკელებს ჰგონიათ, რომ ამით ვისმეს მოატყუებენ. სომხები თაღლითობენ ორ ფრონტზე: დენიკინიც და ბოლშევიკებიც უნდათ გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველათ და ანარქიის შესაქმნელათ... ამ პროვოკაციას უეჭველია გამოიყენებს როგორც დენიკინი, ისე კომუნისტებიც—არც ამ ხალხისთვის არის გარჩევა ბრძოლის მეთოდის, როცა საქმე საქართველოს შეეხება — მაგრამ სომხებს მაინც უნდა ეშინოდეთ ორი მხრივ გრიგალის ამოვარდნის, ერთხელაც არის პოლიტიკურ ჯამბაზებს ბაწარი გაუწყდებათ და საკუთრათ გათხრილ ორმოში მოხვდებიან.

## ახალგაზრდობა!

ხვალ ეროვნულ დემოკრატ ახალგაზრდათა კონფერენციაა. იკრიბებიან ისინი, ვინც უფროს ამხანაგებთან ერთად ეროვნულ სახელმწიფოებრივ საზრდოს აწვდიან ხალხს.

ხალისით, ახალგაზრდული აღფრთოვანებით ჩაება ჩვენი მოზარდი თაობა იმ მძიმე და რთულ მუშაობაში, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სამშობლოს ყოველმხრივი ემანსიპაცია.

დღევანდელს ურთიერთობაში მეტად საძნელოა საღ სახელმწიფო მსოფლმხედველობის დამკვიდრება ხალხის ფართე მასსაში: რევოლუციის კატაკლიზმმა სულ სხვა იდეალებით შეიპყრო დემოკრატიული ნაწილი საზოგადოებისა! მიუთხრობელ მომავლის ძიებამ და სოციალურ პრობლემას თავისებურ შეფასებამ თითქოს ყველას გადაავიწყა ის მარტივი მცნება, რომ ქართველი ერის და სახელმწიფოს საამდროვო ინტერესი ყურადსაღებია და საზრუნავი პირველ ყოვლისა.

დენაციონალისტური ზრახვანი დღესაც საგრძნობლად მოდებული აქვს ხალხის უმრავლესობას და საჭიროა უდიდესი დაჭიმვა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ძალებისა, რომ ხალხი ჩამოშორებულ იქმნას ერის უფლებათა მომსპობ გზას და ისტორიულ სამკვიდრებელის სრული განსახიერებით სახელმწიფოს სახით ღირსყოფილიყოს კულტუროსან ერთა ოჯახის თანაბარ წევრად...

ამ იდეას უფროსების წახალისებით ეროვნულ დემოკრატიული სტუდენტობა გულის სიღრმეში ატარებს და პრაქტიკულ მოღვაწეობაში უფროს ამხანაგების „შურსაც“ იწვევს,—ისეთი ენერგიით და თავდავიწყებით შეაქვთ ხალხში საუკეთესო წინაპართა ანდერძი!

შეიძლება სადავო იყოს საკითხი, ვის ეკუთვნის ქართველი ერის ეროვნულ განვითარებეს პრიორიტეტი—ამას ეხლა ბევრნი ჩემულობენ და უფრო კი ისინი, ვინც თავის სამოღვაწეო ხანგრძლივ მანძილზე მუდამ „ნიველლიროვკის“ პრინციპს ჰქადაგებდა—ჩვენ ვკმაყოფილდებით იმითაც, რომ მცირეოდენი წვლილი ჩვენს მიმართულებასაც მიუძღვის და ამ საქმეში ეროვნულ დემოკრატიულ ახალგაზრდობას ავანგარდში იხილავდით

იკრიბებიან ახალგაზრდები—იდიალისტები უწინარეს ყოვლისა მაგრამ უკვე დატვირთულნი განვლილ საპასუხისმგებლო და ხშირად უმადლო მუშაობით. მომავალ, წინამდებარე მუშაობის გათვალისწინებასთან ერთად, ისინი წარსულსაც გადაავლებენ თვალს და, გვჯერა, მკაცრი ანალიზი ნამოქმედარს არ ასცდება, ხოლო ჩვენ —უფროსნი კმაყოფილებით ვეტყვით რომ თქვენ უფრო მეტი შესძელით, ვიდრე მოსალოდნელი იყო!

და იმედი გვაქვს სრული, რომ ეს საამხანაგო თათბირი კიდევ გაგამხნევებთ მძიმე ტვირთისთვის.

რ. ინგილო

# ქრონიკა

## სამთო სამმართველოში

✦ **ნავთიან ადგილების ჩაბარება.** ამ დღეებში სამთო სამმართველოს უფროსი ი. ა. ყიფშიძე გზათა სამინისტროს კომისიის წევრებთან ერთად კახეთში მიემგზავრება, ილდოქანისა და თხოვლის ნავთიან ადგილების ჩასაბარებლად. ხსენებული ნავთიანი ადგილები დღემდე გზათა სამინისტროს განკარგულებაში იყო.

✦ **ტყვარჩელის ქვანახშირის გეოლოგიურად გამორკვევა.** თანახმად იტალიის მისიის წევრის გეოლოგ-პროფესორ-ნოვორიზეს თხოვნისა სამთო სამმართველოს უფროსი ყიფშიძე მიემგზავრება სოხუმის ოლქში მდებარე ტყვარჩელის სამთო მადნეულების გეოლოგიურად გამოსარკვევად.

✦ **საგანგებო კომისიების სხდომები.** ამ ქამად სამთო სამმართველოში იმართება კომისიის სხდომები სამთო მადნეულებათა დამუშავების შესახებ. კომისიის სხდომების საგანია აგრეთვე კახეთის ნავთიანი ადგილების იჯარით გაცემის საქმე და სხვა. უკვე შემუშავებულია პროექტი ხელშეკრულებისა მოიჯარადრეებთან.

## სხვა და სხვა ამბები.

✦ **მოღალატე პოდპოლკოვნიკი.** საგანგებო რაზმის უფროსმა დაატუსაღა სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების ერთი ერთი უფროსი მოსამსახურეთაგანი პოდპოლ. პ. ი. ნიკიტინი, რომელსაც ჩრდილო კავკასიაში გამგზავრება და იქ დენიკინის ჯარში ჩაწერა განეზრახა. მას მიქონდა ტოპოგრაფიული ხელსაწყოები და სხვა და სხვა საბუთები. დაჭერილი პოდპოლ. სამხედრო სამინისტროს გადაეცა.

✦ **დუშეთის ამბოხების შესახებ.** საგანგებო სასამართლოს უკვე მოუვიდა დუშეთის ამბოხების საქმე.

✦ **მესხეთ-ჯავახეთის დღე.** მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი კვირას 22 ივნისს ქართულ კლუბში მართავს მესხეთ-ჯავახეთის დღეს.

✦ **მსახიობთა და მუსიკოსთა დღე.** გუშინ თბილისში გაიმართა მსახიობთა და მუსიკოსთა დღე. კრებდნენ ყულაბებით ფულებს. სხვა და სხვა ფერად კოსტიუმებში გამოწყობილი პროცესიები დაიარებოდნენ ქუჩებში მუსიკითა და სიმღერებით. პროცესია გაჩერდა სასახლის წინ. მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მთავრობის თავმჯდომარე ბატ. ნ. ჟორდანიამ.

✦ **წიგნები სტუდენტთა სასადილოში.** სახელმწიფო უნივერ. სტუდენტთა სასადილოში შუადღის 3 ს. 5 საათამდე იყიდება შემდეგი წიგნები: 1 შარლ ჟიდი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ შესავალი და პირველი წიგნი; პროფესორ ჯავახიშვილის, „სამართლის ისტორია“, პროფ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი წიგნი“ I, II, III და სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სავალდებულო საგნები.

**სომეხ სტუდენტთა შუამდგომლობა.** თბილისის პოლიტეხნიკუმის სომეხ სტუდენტობამ შუამდგომლობა აღძრა ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკუმის პროფესორთა საბჭოს წინაშე, რათა თბილისის პოლიტეხნიკუმის სომეხი სტუდენტობა მიღებულ იქმნან მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში და ჩაეთვალოთ ჩაბარებული საგნები.

✦ **დიდი სეირნობა.** დღეს, ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში, ქალთა მე-7 გიმნაზიის (ყოფილ ეპარქიულ სასწავლებლის) სასარგებლოთ იმართება დიდი სეირნობა საინტერესო პროგრამით. საზაფხულო თეატრში მხიარული კაბარე საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით; ბაღში მრავალი გასართობები და ძვირფასი საჩუქრები, ყავა ძველი სასმელებით, ლატარია მრავალი მოგებით და მხიარული ქართული ნადიმით სეირნობის დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

✦ **აბესალომ და ეთერი პროვინციაში.** მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა შეადგინა საკონცერტო დასი და ამ მოკლე ხანში გაემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში. უმთავრეს პარტიას აბესალომისას შეასრულებს ივ. სარაჯიშვილი, მურმანისას—ალ. ინაიშვილი, მარიხს—იაშმირსკაია; სხვათა შორის შესრულებულ იქმნება „შოთა რუსთაველიდან დუეტები და არიები. აკომპანიმენტს ხელმძღვანელობას გაუწევს ქ. ფალიაშვილი. დასი გაემგზავრება 20 ამ თვეს.

✦ **ურიელ აკოსტა.** დღეს 15 თიბათვეს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილ იქმნება „ურიელ აკოსტა“. ურიელ აკოსტას როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო კოლა გულიაშვილის „ჭრელი ხალხი“, მხიარული კომედია ორ მოქმედებათ. ღირს 3 მანეთი

✦ **გამოვიდა ჟურ.** „თეატრი და ცხოვრების“ მეშვიდე ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ნ. შიუკაშვილის წერილი „თეატრი და ცხოვრება“, მ. ბიჭორიშვილის „ლოთი მაყარი“, საქართველო-სომხეთის ომიდან „განახლებული სიცოცხლე“ (თავი — „უპურ-მარილონი“), წერილები, ლექსები, სურათები მოღვაწეთა, მეომართა, ხელოვანთა და სხვ. დაბეჭდილია სქელ ქაღალდზე და ღირს 5 მან

✦ **ხარკოვის საექიმო ფაკულტეტი** წელს დაასრულეს შემდეგმა პირებმა: ნიკ. გიორგაძემ, არჩილ კანდელაკმა, გ. იორდანიშვილმა, ვახ. მაჩაბელმა, აკაკი ფანჯავიძემ, მიხ. ჯიშკარიანმა, ვლ. ფანჩხავამ, ქსონძერმა, იაკობაშვილმა, ის. მიხოვიჩმა და დავით მუსიშვილმა.

✦ **მკვლელობა არმაზის მონასტერში.** თბ. ფერისცვალების მონასტრის ბერი მამა გაბრონი გვთხოვს გამოვაცხადოთ: გავრცელებული ხმა, ვითომც ამას წინეთ არმაზის მონასტერში მოეკლათ ცნობილი ბერი მირიანი სიმართლეს მოკლებულია. 7 თიბათვეს მე თვითონ დავბეჭდე მონასტრის კარები და კომისიის განკარგულებით მილიციონერიც ჩავაყენე. მამა მირიანი უგზო უკვლოდ არის დაკარგული, მოკლულია მხოლოდ მისი მორჩილი „ვაგა“ და მონასტერიც გაძარცულია. უმორჩილესად ვთხოვ ყოველნაირი ცნობები მირიანის შესახებ გვაცნობოთ აქ მისამართით: თბილისის ფერისცვალების მონასტერი. მამა გობრონს“.

## სომეხთა ცხოვრება

**პური სომხეთისათვის.** გრძელდება ბათუმიდან სომხეთში ამერიკიდან მოსულ პურის გადაზიდვა.

✦ **სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები.** საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს საარჩევნო ცენტრალურმა კომისიამ დაარსა სხ. და სხ. ადგილის სარაიონო კომისიები.

**სომეხი ლტოლვილები ხანაინში.** სანაინიდან იტყობინებიან, რომ იქ თამოყრილი სომეხი ლტოლვილები თითქმის სულ გადაუყვანიათ სომხეთში. დარჩა მხოლოდ 500 კაცი. სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული მათ ყოველ დღიურად თითო გირვანქა თეთრ პურს აძლევს.

✦ **სამუსიკო საზოგადოების კრება.** კვირას 15 თიბათვეს შუადღის 12 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წლიური კრება ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა.

## კრებები

✦ **მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყ. საზოგადოებისა** მოხდება ორშაბათს, 16 ივნისს, სად. 7 ს., თბილისის მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 6. წესრიგი კრებისა: 1. სამეცნიერო ნაწილი: პროფესორ. ის. პ. მოსეშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „უწერის წყლები, ბახმარო და წყალტუბოს აბანოები“. ექ. დ. ახვლედიანი „ახტალა“. ექ. ა. მაღალიშვილი „თბილისი როგორც კურორტი“. ექ. ალ. წულუკიძე „რამდენიმე შემთხვევა სისხლის დენის გაჩერებისა ღვიძლის თვით დაჭრის დროს“. II საადმინისტრაციო ნაწილი: მორიგი კითხვები.

## პარტიული ცხოვრება

**კონფერენცია.** ხვალ, ორშაბათს, გაზ. „საქართველო“-ს რედაქციაში შესდგება ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა კონფერენცია.

## სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო თეატრი.** სამშაბათს, 17 თიბათვეს, რიტმიულ გიმნასტიკის ინსტიტუტის თბილისის განყოფილების საღამო.

**არტისტ. საზ-ბის თეატრი.** დღეს, 15 თიბათვეს, დილით „ფსკერზე“. მზადდება დასადგმელად პ. კამენსკის კომედია „საკაცობრიო სამსჯავრო“.

**სახალხო სახლი.** დღეს, სახ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება უკანასკნელად „ქრისტინე“.

**მწერალთა კავშირის საბჭოს კრება.** ორშაბათს 16 ივნისს საღამოს 7 საათზე სადგილმამულო ბანკში დანიშნულია მორიგი კრება ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოსი. განსახილველია კითხვები: 1) მემორანდუმი მთავრობას მწერალთა ფონდის დაარსების შესახებ, 2) მოწყობა მწერლების ევროპაში გაგზავნის, 3) რესტორან „ანონაში“ მხატვრული კლუბის გახსნა.

**სამუსიკო საზოგადოების** წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, შუადღის 12 ს., ქართული კლუბის დარბაზში. განხილული იქნება სამუსიკო საზოგადოების ორგანიზაციის საკითხი და მისი გაფართოების მიზნები.

**საბავშო თეატრი.** ეს ერთი ხანია თბილისში შესდგა ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდათა საზოგადოება სახელწოდებით „საბავშო თეატრი“, რომელსაც აზრათა აქვს მუდმივად საბავშო წარმოდგენების გამართვა ეს წრე მომავალ კვირისათვის აპირებს პირველ საბავშო დილის გამართვას, რომელშიაც მონაწილეობას უმეტესად ბავშვები იღებენ.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. გორი.**

გორისა და ცხინვალის შარაგზის შეკეთებას შეუდგნენ.

**ს. მუხრანი.**

მოსავალს კარგი პირი უჩანს. ქერები ალაგ ალაგ მზად არის გასაჭრელად.

## მილიციაში

**დიდ ქურდთა ბრბოს შეპყრობა.**

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა პ. ზ. ფაჩულიამ ცნობა მიიღო, რომ ბათომიდან თბილისში გასტროლებზე გამოემგზავრენ „ჟოკე მიშკას“ მეთაურობით ცნობილი ქურდები-თავდამსხმელნი. მილიციის ცნობით ეს ბრბო უკვე ჩამოსულიყო თბილისში და 7 ივნისს ღამით ძველ სემინარიის პირდაპირ ვიწრო მუზეუმის ქუჩიდან სარდაფიდან კალატოზოვის უნივერსალურ მაღაზიის გატეხას აპირებდა. მილიცია ქურდებს მართლაც კვალ და კვალ მიჰყვა და ღამის 10 საათზე გახურებულ მუშაობის დროს თავს დაესხა. შეიპყრა სულ ხუთი კაცი, რომელნიც აღმოჩნდნენ: ნიკოლოზ არუთინის ძე დანელიანცი, მიხეილ ზაქარიასძე ადამოვი („ჟოკე მიშკა“-თ წოდებული), რომან გიორგის ძე გვარამაძე, მატაცაშვილი, რაჟდენ ილარიონის ძე და ამირანაშვილი ივანე ვასილის ძე. მათ აუარებელი სატეხი და სალეწი იარაღები აღმოაჩნდათ და მილიცია განცვიფრებაში მოვიდა. აქ ნახავდით დიდრონ მაკრატლებს, რომელნიც ერთ წუთს ქაღალდის ფურცლებსავით სჭრის დიდ რამდენიმე გოჯის რკინეულობას და უზარ-მაზარ კლიტეებს. აქ იყო იდდაფორმის ფერი წამლები წვრილ-წვრილ შუშებში, რომლის შესხმა ჰკურების დროსაც კედლები და აგურები თავის თავათ იფხვნებოდა და მტვრათ იქცეოდა. აქ ნახეს ათასგვარი ჯურის გასაღებები, ქლიბები, ხერხები. ერთი სიტყვით მთელი ლაბორატორია და სახელოსნო ფართე მასშტაბში დაჭერილი. გვარამაძის მეუღლის ივანიკოვის ბინის ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 12 წყვილი ქალის ფეხსაცმელი.

ყველა ქურდნი და თავდამცემნი მშვენიერ ევროპიულათ გამოწყობილნი იყვნენ. ყველანი გამოტყდნენ დანაშაულში და დაპატიმრებულ იქნენ.

**ყალბ საბუთების შემდგენნი.**

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ალექსანდრე ნემსაძე, დავით სურმავა და კალისტრატე თოდრია, რომელნიც აპირებდენ ყალბ საბუთებით შაქრის ფხვნილი მიეღოთ საქონლის საწყობიდან დაახლოვებით 50,000 მანეთად ღირებული. შაქარი ჩამოერთვათ და ყველა ეს პირნი დააპატიმრა მილიციამ.

**არამიანცის გამტაცებელნი.**

თანახმად სისხლის სამართლის მილიციის უფროსის პ. ზ. ფაჩულიას დეპეშისა ქიათურაში შეიპყრეს ლადია ლოლაძე, რომელსაც არამიანცის გატაცება ბრალდება.

**დანიშვნა.**

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწეებათ დაინიშნენ ბ. ბ. ვ. ი. ჩიხლაძე, დ. ნიჟარაძე, გ. სადარეიშვილი და გ. მ. შარაშიძე.

**ქურდების შეპყრობა.**

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო განთქმული ქურდი-რეცედივისტები პ. მ. ჟვანია და ნ. ზ. ხუთაშვილი.

**იარაღის ჩამორთმევა.**

სისხლის სამართლის მილიციამ ჩამოართვა ისმაილ იუსუფ ოღლუს იაპონური კარაბინი, ვლ. პეტრიაშვილს მაუზერი და ალ. თადიშვილს ნაგანი. არც ერთ მათგანს ნებართვა არ ჰქონდათ ტარებისა.

**საგანგებო რაზმში ნაქურდალის აღმოჩენა**

საგანგებო რაზმის უფროსს ბ. ნედის ცენტრალური სასურსათო საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოს თავმჯდომარემ ბ. იეგოროვმა განუცხადა, რომ მათ საწყობიდან მან თაშევის ქარვასლიდან ვიღაც ბოროტმოქმედთ წაუღიათ 658 ცალი რკინის ცელი, ღირებული 70,000 მანეთად. ბ. კედიამ ბოროტ მოქმედთა აღმოჩენა მიანდო რაზმის უფროსს ნ. ჯაყელს, რომელიც ფიცხლავ გაემართა საწყობისაკენ და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ დააპატიმრა სასურსათო სამინისტროს რაზმის ჯარის-კაცნი და ამავე რაზმის სომეხი დარაჯები. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ საქონელი მოიპარეს საბჭოს რაზმის ქვეითა ჯარის-კაცებმა: მილაძემ, შუშიაშვილმა და ამავე რაიონის დარაჯებმა: მესროფ კევორკოვმა და ანდრია ოუმასოვმა.

ყველა აღნიშნული პირნი, რომელთაც ქურდობა ბრალდებათ სავშვერნიო ციხეში მოათავსეს, ხოლო ერთი დამალულის შესაპყრობათ მიღებულია ზომები. მოპარული ნივთები აღმოჩნდა თბილისის ვაჭარ ლომაძესთან, რომლის მაღაზიაც მუხრანის ქუჩაზეა და ვალან ტერ-ვართანოვთან, რომლის მაღაზიაც მანთაშევის ქ. რაიონშია. მოპარული ნივთები ამ ორთავე მოვაჭრეთ ჩამოერთვა.

## ქართ. ისრაელთა სწავლა-განათლებისათვის

ამას წინად ჩვენ შევეხეთ ქართველ ისრაელთა სწავლა-განათლების კითხვას, რამაც სამართლიანი გამოძახილი ჰპოვა ქუთაისის პრესაში.

სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვართ კვლავ დაუბრუნდეთ ამ მეტად მარტივსა და ნათელ კითხვას, ვინაიდან ჩვენს ყურამდე ისეთმა აღმაშფოთებელმა ამბებმა მოაღწია, რომელზედაც შეჩერებას ჩვენს მოვალეობათა ვრაცხთ. ქუთაისში არსებობს საშუალო კომერციული სასწავლებელი, სადაც რამოდენიმე ათეული ქართველი ისრაილის ბავშვი სწავლობს. ესენი საუკეთესო მოწაფეთა რიცხვში ითვლებოდნენ და ამ მხრით მასწავლებელთა განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენენ. ამ ბოლო ხანებში კი ისინი საშინლად დაქვეითებულან. სწავლას გულს აღარ უდებენ, არც თუ იმის შიში აქვთ, რომ შესაძლოა ისინი სრულიად გამოირიცხონ სასწავლებლიდან.

ამ სასწავლებლის დამაარსებელი ერთ-ერთი პატივცემული საზოგადო მოღვაწე გულნატკენი მომითხრობს ამ ფაქტსა და აღნიშნავს, რომ თვით მოწაფეები აქ არაფერ შუაში არიან, არც თვისი სწავლის უნარის მხრით, არც თვისი შეგნებით.

ქართველ ისრაელთა შორის მრავლად მყოფ ფანატიკოსებს დაუარსებიათ ერთგვარი, ასე ვთქვათ, ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქართველ ისრაელთა ბავშვებს გული აუცრუოს სწავლა-განათლებაზე და ჩვეულებრივი პარაზიტები გახადონ. ისინი ეწევიან სიტყვიერ და წერილობით პროპაგანდას, სალოცავში, ოჯახში, ქუჩაში და ყველგან, სადაც კი მოუხერხდებათ. მათ ესმით, რა დიდი ზნეობრივი გავლენა აქვსთ დედებს თავის შვილებზე და შეუშინებიათ, როგორც დედები, ისე მამები, რომ უკეთუ ისინი შვილს სასწავლებლიდან არ გამოიყვანენ, ღმერთიც, კაციც და რჯულიც მათ შეაჩვენებს, დაასნეულებს, სახადს შეყრის, შვილებს დაუხოცავს და სხ... შეშინებული მშობლები რას არ იზამენ შვილის სიცოცხლისათვის, თუნდაც სულ უსწავლელი დარჩეს, ოღონდ სიცოცხლე კი შერჩეს. ბავშვს სწავლა სწყურია და ერთბაშად მისი უარზე დაყოლიება არც ისე ადვილია. გადის დრო, დღეები და ბავშვს ლურსმანივით ეჭედება ტვინში ის აზრი, რომ სწავლა-ცოდვაა, დანაშაული ღვთისა და სარწმუნოების წინაშე და რაკი ასეა, არც თავს შეიწუხებს გაკვეთილების მოსამზადებლად. გაოცებულ მასწავლებელს ის ასე უპასუხებს: „ვინც ისწავლეს რა გააკეთეს, მათ რჯულიც დაივიწყეს, ღმერთიც და დღე-მუდამ ჩვენი ხახმები მათ წყევლა-კრულვას უნდებიან; მე კი არ მინდა რომ თორის მასწავლებელმა დამწყევლოს, რადგან ყველა უბედურება ცხოვრებაში ამ წყევლას მოაქვსო“. აი რას ეუბნება თავის მასწავლებელს ქართველი ისრაელის ბავშვი და ასეთი აზრებით გაჟღენთილი იგი სწავლას თავს ანებებს და ქუჩაში განაგრძობს თავის განათლებას და ან კიდევ ხახმებს უვარდება ბრჭყალებში. ხახმებმა იციან, თუ როგორი სწავლა უნდა ამ ბავშვს და ასე ამგვარად თანდათანობით აძლიერებენ თავის მიმდევართა წრეს.

ჩვენ არ მივმართავთ ამ ხახმებს; ვიცით, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, მაგრამ ჩვენ მივმართავთ ყველას, როგორც ქრისტიან, ისე ისრაელ ქართველთა მშობლებს, მოწაფეებს, მასწავლებლებს, კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას, ნუ დაზოგავენ ნურავითარ, თუნდაც უსასტიკეს საშუალებებს, რომ ასეთ ტრაღიკულ, საზიზღარ, აღმაშფოთებელ მოვლენას შეებრძოლონ. ჩვენ არ გვინდა საბოლოოდ დაიღუპოს ის ნაწილი ქართველი ერისა, რომელიც დიდს შემოქმედებით ენერგიას, პოტენციურად ატარებს თავის არსებაში და რომელსაც ასე ხელოვნურად ულმობლად და ურჯულოდ აღრჩობენ საშოშივე. ჩვენ ვიცით ეს შემოქმედებითი ენერგია პარაზიტულ, მავნე ენერგიად იქცევა, უკეთუ ამ თავითვე არ იქნება მოსპობილი ეს საზარი პროპაგანდა და სიძულვილი სწავლა-განათლებისადმი.

ყოველ შემთხვევაში მე ვიცი, რომ ქართველ ისრაელთა წრეში საკმარისად მოიპოვებიან ისეთი ინტელიგენტური ძალები, რომელნიც მიუხედავად თავისი პოლიტიკური ანტაგონიზმისა, ერთ აზრად მოევლინებიან საზოგადოებას ამ კითხვაში და ყოველგვარ საშუალებას მიჰმართავენ ამ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. ვინც ამ კითხვაში ჩვენთან არ იქნება, ის არის ჩვენი მტერი და სათანადოდ მოვეპყრობით მას.

ი. ხანანაშვილი.

## საქართველოს ერობა

**საქიმო-სასანიტარო განყ. გამგე ექიმთა ყრილობისთვის.**

თბილისის მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება, ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან შეთანხმებით ამა წლის 12—18 თიბათვეს ქ. თბილისში, ერობის ბინაზედ, რუსთაველის პროსპ. № 6 (გოლ. 6), საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობათა საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმთა ყრილობას იწვევს.

I. **ყრილობის მიზანია:**

1) გათვალისწინებულ იქმნას, თუ რა გააკეთა თვითეულმა ერობამ საექიმო სასანიტარო დარგში.

2) გამორკვეულ იქმნას—გაკეთებული და ცხოვრებაში განხორციელებული ამა თუ იმ ერობის საექიმო-სასანიტარო საქმიანობა—ეშზგავსება საზღვარ-გარეთის ერობის შკურნალება-სანიტარიას, ე. ი. მის ზოგად პრინციპებს და დებულებებს, თუ იგი სხვა გვარად მოეწყო ეჩენში.

3) თუ ჩამოსულ ამხანაგ ექიმების მოხსენებიდან გამოაშკარავდა ერობების საექიმო-სასანიტარო საქმიანობის სხვადასხვაობა—გამორკვეულ იქმნას რამდენად მისაღები და მიზანშეწონილი იქნება ეს ჩვენი სპეციალური საქმისათვის.

4) თუ ხალხის ჯანმრთელობისთვის ერობის მიერ მოწყობილი ს.-ს. ორგანიზაცია და საქმიანობა მიუღებელი იქნება—გამოინახოს ის ზომები და საშუალებანი, რითაც შეიძლება ერობის საექიმო-სასანიტარო საქმიანობის გაერთგვარება და ერთ დებულება-პრინციპზედ აშენება.

5) გამორკვეულ იქმნას მომავლისთვის საექიმო-სასანიტარო საქმიანობის პროგრამა—სავალდებულო თვითეული ერობისთვის.

6) ჩამოსულ ამხანაგ ექიმების გაცნობით და დაკავშირებით ნიადაგი მომზადდეს და საძირკველი ჩაეყაროს მომავალ გაერთიანებულ საექიმო-სასანიტარო დარგის მუშაკთა საქმიანობის და ერობის ექიმთა კავშირს.

7) გარდა ორგანიზაციულ მუშაობისა და საპროგრამო საკითხების განხილვისა ერთად მოვუსმინოთ 10—15 შემდეგი თემის ლექციას: „უკანასკნელი აღმოჩენა-გამოკვლევანი მკურნალება სანიტარიის სხვა და სხვა დარგებში“,

ლექციებს წაიკითხავენ ჩვენი ცნობილი პროფესორები და ექიმები.

II. **ყრილობის საპროგრამო საკითხები**

1) მაზრის ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილება და მისი გამგე ექიმი (უკანასკნელის მოვალეობა უფლებიანი; დამოკიდებულება გამგეობასთან და უბნის ექიმებთან; მისი მოწვევა-დათხოვნის საკითხი; მისი ჯამაგირის, დღიურის გამორკვევა საზოგადოთ ყველა ერობებისთვის სახელმძღვანელოდ).

2) საერობო სამკურნალო უბანი (მისი სივრცე-რადიუსი; უბანში მცხოვრებთა რაოდენობის საშუალო რიცხვი; საუბნო საავადმყოფო—საჭირო განყოფილებებით—მისი საუკეთესო ტიპი; საეპიდემიო ბარაკები; მარტივი დეზინფექტორის და აბანოს ნიმუში)

3) უბნის სამედიცინო პერსონალი ექიმის, ფერშლის, ბებია-ქალის მოვალეობა უფლებანი; მათი მოწვევა-დათხოვნის უფლებრივი საკითხი; დამოკიდებულება მაზრის საექიმო საბჭოსთან და მაზრის ერობის გამგეობასთან

# პარტიის მესამე კონფერენცია

**გაიხსნება 21 თიბათვეს, დაიხურება 23-ს.**

სხდომები სწარმოებს დილა-საღამოობით. დილით 10-ან 2 საათამდე, საღამოთი—5-ან—9 საათამდე

## მუშაობის პროგრამა

### პირველი დღე 21 თიბათვე

**დილის სხდომა.** სხდომას გახსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. მდივნობს—მთავარი კომიტეტის მდივანი.

კონფერენცია ირჩევს თვის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს, მდივანს და მის ამხანაგებს.

კრება ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელსაც ევალება საღამოს სხდომის დაწყებამდე მანდატების შემოწმება.

კრება ირჩევს სარეგლამენტო კომისიას, რომელსაც ევალება მთავარი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო რეგლამენტის განხილვა და თავის შენიშვნებით მისი წარმოდგენა საღამოს სხდომისათვის. კომისიების არჩევით დილის სხდომა დაიხურება. შემდეგი ინიშნება საღამოს.

**საღამოს სხდომა** სხდომას ხსნის კონფერენციის თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი ამხანაგი. მდივნობენ არჩეული მდივნები. კონფერენციას მოხსენდება:

1. მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში. მომხსენებელია **იოს. მაჰავარიანი.**

2. პარტიული მუშაობა ადგილობრივ. მომხსენებლებია ჩამოსული დელეგატები

3. პარტიული მდგომარეობა. მომხსენებელია **რ. ინგილო.**

### მეორე დღე 22 თიბათვე

**დილის სხდომა.** კონფერენციას მოხსენდება:

1. საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელია **გ. გვაზავა**

2. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: ა) პოლიტიკური ნაწილი. მომხსენებელია **გ. გვაზავა.**

ბ. ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა—მომხსენებლებია **ნ. ნიკოლაძე და იასონ ლორთქიფანიძე.**

3. საქართველოს ეკონომიური პერსპექტივები. მომხსენებელია **ს. დანელია.**

**საღამოს სხდომა.** 1. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: გ) აგრარული პოლიტიკა. მომხსენებელია **ა. ასათიანი.** დ) მუშათა საკითხი. მომხსენებელია **ა. ასათიანი.**

2. საქართველოს ტერიტორია. მომხსენებელია **ექ. თაყაიშვილი.**

### მესამე დღე 23 თიბათვე

**დილის სხდომა.** 1. საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოკტრინა და სინამდვილე. მომხსენებელია **ხპ კედია.**

2. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებელია **პ. ხურგულაძე.**

3. თვითმართველობები. მომხსენებელია **პ. გოთუა.**

**საღამოს სხდომა** 1. საქართველოს მხედრობა. მ. პეტრე სურგულაძე.

2. წესდება და საორგანიზაციო მუშაობა. მომხსენებელია **ს. დანელია.**

3. კომიტეტის არჩევა.

ყოველი მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. მიიღება რეზოლუცია.

დელეგატები აირჩევიან ხუთას წევრზე თითო.

ორგანიზაცია, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, გზავნის ერთ დელეგატს.

დელეგატს უნდა ჰქონდეს სათანადოთ შედგენილი მანდატი, დელეგატის მთელ ხარჯს კისრულობს გამომგზავნი ორგანიზაცია.

**მთავარი კომიტეტი.**

პერსონალის ჯამაგირი: პერსონალის დაზღვევის საკითხი გარდაცვალების და შრომის უნარის დაკარგვის დროს);

4) ერობის სანიტარული ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (სამაზრო სანიტარული საბჭოს შემადგენლობა, უფლებები და მისი საქმიანობა; საუბნო სანიტარული საბჭოს შემადგენლობა, უფლებები და მისი საქმიანობა; საზოგადოების სანიტარული სამზრუნველოს შემადგენლობა და მისი ფუნქციები;

5) ერობა და წამლობითი მედიცინის მოწყობა;

6) ერობა და მოარულებთან ბრძოლა;

7) ერობა და მალარიასთან ბრძოლა;

8) ერობა და ჭლექთან ბრძოლა;

9) ერობა და დოსტაქრული საქმის მოწყობა;

10) ერობა და საყოველთაო სავალდებულო ყვავილის აცრა;

11) ერობა და ვენერიულ ავადმყოფებთან ბრძოლა;

12) საერობო სანიტარული სტატისტიკა (ორ კვირეული სამკურნალო ანგარიშების ნიმუშები, თვიური ანგარიშების ნიმუშები, ზოგიერთი გადამდები სენისთვის ცალკე ბარათების ნიმუშები);

13) ერობა და თვალის ავადმყოფთა წამლობა;

14) ერობა და საბებიო გინეკოლოგიური დახმარება;

15) ერობის აფთიაქის მოწყობა—მისი ტიპი სოფლად და ქალაქად; წამლეულობათა საწყობების მოწყობა; რომლის საფარმაცევტო ცენზის მოსამსახურე დასჭირდება ერობას;

16) ერობა და სულით ავადმყოფობათა მოვლა-პატრონობა;

P. S. 1) აუცილებლად საჭიროა ყრილობაზედ დასწრება ყველა ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილებების გამგე-ექიმთა და სასურველია თვითეულმა ერობამ ერთი ან ორი უბნის ექიმიც გამოგზავნოს, თუ ეს ადგილობრივი პირობებით მოსახერხებელი იქნება.

2) ვთხოვთ ამხანაგებს გარდა ადგილობრივ საექიმო-სასანიტარო საქმიანობის შესახებ მოხსენებისა—ყრილობის რომელიმე საპროგრამო საკითხზედ მოხსენება წარმოადგინონ.

3) ხუთ თიბათვემდე ჩვენ უკვე აქ უნდა დეპეშით ვიცოდეთ, თუ თვითეული ერობიდგან რამდენი ამხანაგი—ექიმი მოდის ყრილობაზედ.

4) 11 თიბათვეს, საღამოს 7 ს. ერობის ბინაზე ჩამოსულთ ამხანაგური შეხვედრა მოხდება.

5) თუ დრო ნებას მოგვცემს მოწყობილი იქნება რამდენიმე ექსკურსია სხვა და სხვა დაწესებულებებში; სამკურნალოებში, გოსპიტლებში, ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში, სულით ავადმყოფთა კოლონიებში და სხ.

6) თბილისის მაზრის ერობის სასანიტარო განყოფილება ამხანაგების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ყრილობაზედ 11 თიბათვეს ჩამოსულთ სადგურის პირველი კლასის დარბაზში, გაზეთების კიოსკის მახლობლად, მარცხენა ხელზედ წითელი ნიშნით, მორიგენი შეხვდებიან და ერობის ავტომობილით ყრილობის წევრებისთვის დამზადებულ უფასო ბინაზედ წაიყვანენ.

## ჩრდილო კავკასია

**ეკატერინოდარის სოც.-რევოლიუციონერები და დენიკინ-კოლჩაკი.**

„უტრო როსიი“-ს № 103-ში დაბეჭდილია სოც.-რევოლიუციონერთა შემდეგი მიწოდება:

„უკანასკნელ ორი წლის ამბებმა გამოიწვია ჩვენი ე. ი. სოც.-რევოლიუციონურ პარტიის რამდენიმე ჯგუფად დაყოფა. ტაქტიკური საკითხები ჩვენ გვაიძულებენ, რომ ერთად არ ვიმუშაოთ. ჩვენ სადავო საგნად და ჩვენი პარტიის გამყოფ მოვლენად გადაიქცა რუსეთში ორი ძალის გაჩენა: ბოლშევიკების და ანტი-ბოლშევიკების. ცოცხალი ელემენტი ამ ბრძოლაში ლოიალად ვერ დარჩება ან ერთს ძალას უნდა მიემხროს ან მეორეს.

ბოლშევიკებმა ხელში რომ ჩაიგდეს ძალა-უფლება, მის შემდეგ ანგრევენ რუსეთის სახელმწიფოს. ბოლშევიკების ბატონობა იწვევს კულტურის დაცემას, პოლიტიკურ რეაქციას და სოციალიზმის იდეის გაგრძელებას.

კოლჩაკისა, მოხალისეთა ჯარი და საოლქო მთავრობანი, რომელნიც ბოლშევიზმს ებრძვიან, რუსეთის აღდგენისაკენ მიდიან.

ბოლშევიკების დამარცხება ერთად-ერთი უცილობელი პირობაა მთლიან რუსეთის აღდგენისა, რომელიც დაეყრდნობა დემოკრატიულ დამფუძნებელ კრებას.

ამისათვის აუცილებელია ერთსულოვანი დახმარება იმ ბრძოლაში, რომელსაც მოხალისეთა ჯარი აწარმოებს მათ წინააღმდეგ.

ყოველი სოც.-რევ. მოვალეა აწონდასწონოს ბოლშევიკების დამღუპავი პოლიტიკა და მათი არსებითად რეაქციული მოძრაობა. ამ აზრის გამზიარებელი სოც.-რევოლიუციონერთა ჯგუფი არ უცდის მომავალ საოლქო ყრილობის მიერ ტაქტიკის საკითხების გადაწყვეტას და აარსებს ორგანიზაციას.

ხელს აწერენ ლებედევი (თბილისის რუსთა ეროვნ. საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის მიერ გაძევებული), ვალბერტი და ოლეინიკოვი.

**დენიკინის ჯარის გახრწნა.**

თუ რამდენად არის გახრწნილი დენიკინის „რეგულიარი“ და „შეგნებულ მოხალისეთა“ ჯარი ამას მოწმობს სხვათა შორის ბრძანება ჯერ კიდევ აპრილის 12-ს გამოცემული: „სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ-სარდლის ბრძანება. სამხრეთის ლაშქრის ნაწილები შიშველ ტიტველი იყვნენ დღის საკმაოდ მოვზიდეთ ტანისამოსი და სამხედრო მორთულობა, მაგრამ საზიზღარი ქურდები ამ ქონებას ანიავებენ არც მცხოვრებთ ჰყოფნის იმდენი შეგნება, რომ არ იყიდონ ეს ნაქურდალი საქონელი.

ვბრძანებ, რომ ყველას, ვისაც აღმოაჩნდება ტანისამოსი ან საქონელი, გაახადონ ტანისამოსი და თვით კი დააპატიმრონ და სამართალში მისცენ თანახმად ჩემ მიერ გამოცემულ № 539 ბრძანებისა.

გენ დენიკინი“.

## სომხეთში

**პარლამენტის არჩევნები.**

პარლამენტის არჩევნებისათვის მუშაობა მალე დასრულდება. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ შემდეგი ოლქები: ერევნის, ეჩმიაძინის, სურმალოს, ყარაკილისის ინჯევანის, ახალბაიაზეთის ზანგეზურის და იგდირისა.

ჯერ-ჯერობით მონაწილეობას არ იღებენ ყარსის, შარურის და ნახიჩევანის ოლქები.

ამომრჩეველთა სიებში აღნიშნულ არიან: ერევნის ოლქში 44,242 ამომრჩეველი, ახალბაიაზეთში—26381, ეჩმიაძინში 54281, სურმალოს ოლქში—20441, ყარაკილისის ოლქში—20000, იგდირის 26000 და დარალაგიაზის მიდამოში 12941.

მომავალ პარლამენტში 80 დეპუტატი იქნება.

**ამერიკის პარლამენტის წევრი სომხეთში.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამერიკის პარლამენტის წევრი უნდერვუდი მერსინში ჩავიდა. ადანის სომხები დაბრუნდნენ და ადანამდე გააცილეს. ვილსონის ახლო მეგობარი უნდერვუდი ადანისა და სომხეთის ეკონომიურ ცხოვრების გასაცნობად ჩამოსულა.

**მდინარეთა ექსპლოატაცია.**

მინისტრთა საბჭოში განსახილველად შევიდა პროექტი მდინარეთა ექსპლოატაციის შესახებ. პროექტის განხილვა მიენდო ინჟ. სიმეონიანს. პირველად განზრახულია სარდარაბადის ველის მორწყვა.

## აზერბაიჯანი

**პროტესტის შეცვლა.**

აზერბაიჯანის მოწადმოქმედების მინისტრმა წაიკითხა მოხსენება მთავრობაში, რომელშიაც საქართველოს პროტესტს უცხადებდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გაეროვნების განზრახვის. მთავრობამ მინისტრის წინადადება არ მიიღო.

**ფოსტის მარკები.**

ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრომ ახალი საფოსტო მარკები გამოუშვა.

**ოდესის აღება.**

ბაქოში მიღებულ სარწმუნო ცნობით პეტლიურამ ოდესა აიღო.

**საპროტესტო მიტინგი.**

სამშაბათს ივნისის ათს, ბალახანაში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგი „მუსავათის“ პარტიის ხელმძღვანელობით. მიტინგს დაესწრო დიდძალი ხალხი. მიტინგმა შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა.

## მღელვარება სტამბოლში

სტამბოლიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით იქაურ წრეებს მეტად აფიქრებს ის რთული მდგომარეობა, რომელიც ბოლო ხანებში სმირნაში შეიქმნა. სმირნაში დაწყებული აღელვება მეზობელ ვილაეთებსაც მოედო. პარტია „იტტიხადი“ ჩაუდგა სათავეში ამ ეროვნულ მოძრაობას და მას ორგანიზაციული ხასიათი მისცა. წარმოუდგენელი სიჩქარით განვითარებული მოძრაობა მოედო კონსტანტინოპოლსაც, რასაც შედეგად მოჰყვა მთავრობის შეცვლა. ამ გადატრიალებას მოჰყვა მდგომარეობის მეტად გართულება.

## ყუბანი

**ყუბანის მთავრობის გადადგომა.**

„სვობოდ. რეჩ“-ი იტყობინება, რომ კენჭის ყრის შემდეგ საოლქო მთავრობას 4—5 მაისის სხდომაზე ყუბანის კანონმდებელმა რადამ უნდობლობა გამოუცხადა. ხუთ მაისს მოხდა მთავრობის სხდომა, რომელზედაც დაადგინეს კაბინეტი გადადგეს.

**საქართველო და მოხალისეთა ჯარი.**

ეკატერინოდარიდან იტყობინებიან, რომ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელმა გენ. დრაგომიროვმა მოხალისეთა ჯარის სარდლობის სახელით უარი განაცხადა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციაზე დასწრებაზე, რადგან ამავე კონფერენციაზე დაესწრება წარმომადგენელი საქართველოსი რომელთანაც მოხალისეთა ჯარი საომარ განწყობილებაშია.

## პატარა ფელეტონი

### „ზახრუ-მალ“.

(თქმულება)

I

უწინ, სულ უწინ—ძველ დროს—გავარდნილი იყო თურმე სპარსეთში ერთი ყაჩაღი სახელად ზახრუ-მალ.

ზახრუ-მალს არც ხატი სწამდა, არც ჯვარი—იყო ერთი მაბეზარი და არამზადა.

მისთვის კაცის კვლა და ოჯახის დარბევა-აწიოკება სიამოვნება იყო, როგორც აფთარისთვის ლეში და სისხლი.

ბევრს ეცადა თურმე სოფელი დაეჭირა და დაესაჯა, მაგრამ ვერას გახდა რა; ბოლოს როგორც იყო ხელში ჩაუვარდათ და სამართალში მისცეს.

— რადა ჰკლამ და ავიწროებ სოფელსაო?—ჰკითხა მოსამართლე ახუნდმა: ნუ თუ შენში კაცობა არ არის?

— უსამართლობას ვხედავ და ვერ ვითმენ,—თავს იმართლებდა ზახრუმალა: მე კი არა, თქვენა ხართ სათოკეებიო...

— რას გიშლიდა-გიშავებდა ის წვრილშვილი ქვრივი იბაზი. რომ ლორსავით ყელი გამოსჭერიო?..—ამტყუნებდა მოსამართლე; თავის სილატაკე და ბეჩავობა არ ეყოფოდა?..

— ჩემი რა ბრალია?—არ მტყუნდებოდა ზახრუ: თქვენ რომ სამართალი ჰქონოდათ იბაბა არც თუ უბედური იქმნებოდა... თქვენ იომენთ, ქვის გულებო, ბეჩავთა ტანჯვა-ვაგლახს და მე კი არ შემიძლიანო.., მოსპეთ დამცირება-ჩაგვრა, დაამყარეთ თანასწორობა-სოციალიზმი და მეც ხელს ავიღებ ავაზაკობაზე...

— ჩვენ კარგი და სამართლიანი კანონი გვაქვს,—თავს იმართლებდა მსაჯული: ჩვენი მადლობელი არიან, მომჩივარი არ გვინახია,..

— მომჩივარი ვილა იქმნება, რომელსაც აღარ არიან,—არ ერიდებოდა ზახრუ: თქვენ მიმდევარს აიამოვნებთ, სხვას კი აინუმში არ აგდებთ, ეგაა თქვენი სამართალი? თქვენ მოხრაკულებს მიირთმევთ და სხვას კი ლუკმაც ენატრებათ... მე თუ ქვრივის ოჯახი ამოვწყვიტე, მით მინდოდა თქვენი ჯავრი ამომეყარა და თქვენი სამართალი დამეგმო...

ზახრუს ამის თქმაზე ცრემლები გადმოსცვივდა:

— მე ქვრივ-ობლების მწუხარებას ველარ ვიტანდი და... მოუსწრაფე მათ შავ-ბნელი დღე... თქვენ კი... ეხლა მაინც გაისწორეთ თქვენი შეცდომა, ეხლა მაინც ემს ხურეთ ხალხს, რა გაგიხდათ ამქრის თუ ჯქუფის თაყვანის ცემა...

სამჯავრო მოულოდნელ „ძღვნისაგან“ დაიბნა, არ იცოდა რა ეწამა.

— რახან ეგრეა მოდი და შენ გა-

უძეხ ამოდენა ხალხს,—ჯავრზე მოუიდა ახუნდი: ყველას ჩვენ ვერ მოუგებთ გულს, მთა და ბარს ვერ გავასწორებთ...

— ზახრუ ღირსია ჩამოხრჩობისა და და შენ კი მსაჯულობას მთავაზებ,— გაუწყრენ სამჯავროს წევრნი: სიკვდილი მას.

ქვეყნის მმართველობის ვალი, სიკვდილზედ უარესია, — უმტკიცებდა ახუნდი; ვისაც აუტკივარი თავის ატკივება უნდა, დეე ქვეყნის მმართველი და მსაჯული იყვეს...

მეც მომწყინდა ესოდენა ჩივილ გოდება... დეე ვისაც ვისი ჯავრი სჭირს, უფროსად დანიშნონო... ამაზე მეტი წყევლა მას არ უნდაო.

II

ზახრუ-მალ უფროსად დანიშნეს? . ის ზახრუ-მალი რომელიც უნდა ავაზაკობისათვის ჩამოეხრჩოთ და მის შიშით სოფელი ძრწოდა-ცახცახებდა...

დიდ და პატარაებსაც ზახრუს გაგონებაზე კანკალი მოსდიოდათ, ეჯავრებოდათ კიდეც! ვინ ვის გააჯავრებდა ანუ აწყენინებდა—ემუქრებოდა ზახრუ-მალის სახელით:

— ზახრუ მალ!—მიიღებდა ხურდას ვინც უდროვოდ ანუ უხეიროდ დააცემინებდა; „ზახრუ-მალ“—ჩორუმცა*).

— „ზახრუმალ!—მიიღებდა წყრომას,— ვინც თავხედათ დაახველებდა...

— ხვთის წყალობა!—ზოგი უფრთხილდებოდა თავისიანს: შენთან ხელი არა აქვს ზახრუს ..

III.

ზახრუმალა კი უფროსი გახდა. ჩაიბარა კიდეც მმართველობა ქვეყნისა.

ქვეყანას ეშველა კიდეც: ზახრუმალა ფიქრობდა რომ მისი სახელი ავათ არ ხსენებულიყო და ხალხის სიამოვნებაში იყო ..

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ... თეირანში დღესაც შენახულია სურათი. „ზახრუმალი ხალხს უყრის ხურმას ხილს... ბ ღანები შეჰხარიან—იავარდების კონებს ზედ აყრიან“...

სურათზე ზედ აწერია: „სამართალი“...

დუშელი ვანო.

# ხალხური პოეზია

(ხევ-მთიულეთში გაგონილი)

1

ქართლი იმიტომ დავაგდე,
თოვლს დაზდებს აღარ აილებს.
რაც მოსავალი მოგვივა—
იმას ბატონი წაილებს,
ცოლშვილს გვიტოვებს მშიერსა,
ცოდვა—მადლს აღარ გაიგებს!
ნარბევს, ნაძარც ნადაველსა,
დედის ძუძუსეფ შეირგებს.

2

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე
ცად ლურბელთ განვეძრახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა
აქ იყავ და რადარ მნახე?
—შენმა მზემან, არ მცალოდა,
მითაოს ქუდსა ვკერამდი
პირათ ვაგლებდი გიშელსა,
ოქროს სათითე დავკარგე, ნეტავა
ვილა მიშველსა?
მაჩხალა გამომიგზავნე
ანგელოზების ხელითა!

3

შავეთზე ამოვიარე,
შვიდ პირად იჯდა ჯარია.
ჩივოდენ შავეთელები,
გველებმა გვიყვეს ძალია,
ჩამოგვიხეთქეს საფლავი
ჩამოგვადინეს წყალია,
ბევრს ვაჟკაცს ჩამოეშალა
საყაწიმონი მხარნია,
ბევრსა ქალასა ლამაზსა
შვიდ ლგალ ნაწნავნი თმანია!

4

ჩირქეზს გათლილნო ისარნო!
ქალაქს ნალებნო ინითა,
თქვენ უკვდავების წყარონო
მოხვალით ოქროს მილითა.
სტუმართ ხომ საყვარელნი ხართ?
მასპინძლით შუქნო მზისანო,
თქვენსა მოსვლასა მზე მოვა
წასვლასა თეთრი ღურბელი.
საზაფხულონო სტუმარნო,
ზამთრის რამ მოგიყვანათო?
თქვენ ცხენით საროვინებნო
ფეხით რამ მოგიყვანათო?

5

კარგს ყმას ნუ შურამთ სოფელო
კარგი ყმა კარგი ფარია,
კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება
სწორების მჯობინებასა,
ცუდათ ბოსლის კარზედა
ქალების ლოდინობასა.

6

სოფელს სტირიან დედანი
სოფელს კარქი ყმა ჰკვდებაო.
—ნუ მოჰკლამ დამბადებელო,
სოფლები წაგვიხდებაო,
ბატონთანა და თემთანა (თუ მტერთანა)
წინ ვერვინ წაგვიდგებაო!

7

დედა არა მყავს ობოლსა, რომ
მოვკუდე, დამიტიროსა,
არა მყავს გულის მოკეთე,
რომ დამცხეს დამიგრილოსა.

8

მიჰყევ და მოჰყევ სოფელსა,
სოფელი ლონიარია,
სოფლის წყალობა დიდია,
თუ კაცი გონიერია!

*) ჩორუმცა ძმა იყო ზახრუმალასი.

# კორესპონდენცია

წნორ ლაგოდეხის გზა.

ძველადაც გაგონილი მქონდა, რომ წნორს და ლაგოდეხს შუა მგზავრებს ხშირად სძარცვავდნენ. მდებარეობა ადგილისა მეტადრე ჰიაურის ტყეში ავაზაკებს ხელს უწყობს თავისუფალ თარეშობისათვის, მაგრამ არც წინად და არც მით უმეტეს ეხლა ადმინისტრაცია არა ზრუნავს ქიზიყისა და საინგილოს შემაერთებელ გზატკეცილის დაცვაზე, უწინ თუ კიდევ სადმე მოიძებნებოდა პოსტის „სტრაჟნიკი“, ეხლა სანთლით რომ ეძებოთ წნორიდან ლაგოდეხამდე ერთ მილიციონერსაც ვერ დაინახავთ!

მიუხედავად ასეთი უმწეო მდგომარეობისა, მაინც გავბედე ლაგოდეხში ჩასვლა მცირეოდენი სავაჭრო საქმის გამო... ჩოლოყაშვილის წისქვილებამდე არხეინად მივედით; ოთხნი ვიყავით სამხედრო „პოდვოდზე“, რომლითაც ლაგოდეხს მივემგზავრებოდნენ ერთი მე-6 პოლკის ჯარისკაცი და ერთი პრაპორშჩიკი. ჰიაურის სატყისტო სტანციას ორი ვერსით რომ მივუახლოვდით, გზის ნაპირზე შევნიშნეთ ოთხი წყნარად მჯდომი კაცი: სამი ლეკი და ერთი ქართველი; ასევე წყნარად გამოგვეხმაურნენ და გვანიშნეს, რომ შევჩერებულიყავით მათმა აუჩქარებელმა მიხვრა-მოხვრამ ყაჩაღების შთაბეჭდილება არ დასტოვა და ჩვენც გავჩერდით, მაგრამ თვალის დახამხამებაზე სამი ლეკი განზე გაჩნდა თოფმოღერებული, ხოლო ქართველმა ღიმილით გამოგვიცხადა, რომ ეტლიდან გადმოვსულიყავით და ფულიც მოგვემზადებინა .. სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოკლეთ მოგახსენებთ, რომ ამ ყაჩაღებმა უკანასკნელ პერანგამდე გაგვძარცვეს: კერძოდ მე წამართვეს 88 თუმანი, 40 ტყავი შევრო, 72 დუჟინი კოჭის-ძაფი, საათი, ზევითი ტანისამოსი და ჩემოდანი საჭირო ნივთებით. არ დაზოგეს სამხედრო პირნიც და, სხვათა შორის, წაართვეს სამხედრო უწყების საკუთარი ცელები და ტომრები.

ასე გატიტვლებულნი ჩავედით ლაგოდეხში. ხოლო მე დაუყოვნებლივ ვეახლე რაიონის კომისარს. დილის 8 საათი იქნებოდა, დარაჯის მოხსენების შემდეგ ბალკონზე გამობძანდა უცნაური სანახაობის ადამიანი: ფეხშიშველი, ზორტებ გაშვებულ შარვლით და გულგაღეღილი პერანგით! გავოცდი: რა იცის ამ ახალ ყაიდის პრისტავმა, ვინ ვარ მე? იქნებ წარჩინებული მოხელე ვარ, თუნდ, ვთქვათ, პროკურორი? ხომ შეეძლოთ ყაჩაღებს პროკურორიც გაეძარცვათ?.. მოვახსენე ჩვენი თავგადასავალი.., ამხედ-დამხედა და გულისწყრომით შემომითვალა: რატომ იმავ წამს სოფლელებს არ შეატყობინე, ეხლა დაგვიანებით საქმეს ხომ აღარ ეშველებაო!

გადავწყვიტე ლაგოდეხისკენ აღარ წავიდე ჩემს სიცოცხლეში.

ვ ბოქოლიაშვილი.

# ქართული მუსიკა

ა) სახალხო სიმღერა-გალობის კურსები.

მომღერალ-მგალობელთა სახალხო გუნდი მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით ამ ზაფხულსაც სისტემატიურად ჰმართავს სახალხო სიმღერა-გალობის კურსებს; ყველას შეუძლიან ისწავლოს და გაეცნოს მშობლიურ კილოებს. სიმღერები და საგალობლები ისწავლება ადვილად, სადათ და მარტივათ, ზეპირ გადმოცემით და ნოტებითაც. სახალხო მასწავლებლებისათვის, მოწაფეთათვის და ჯარისკაცთათვის შეღავათიანის პირობებით. მისამართი: ვორონცოვთან, მუშათა კლუბი ზამთრისა (ყოფ ბო-მონდი) საღამ. 5 ნახ. 8 საათ.

* * *

ბ. სახალხო კონცერტები და ლექციები.

ახლო მომავალში მიხეილ კავსაძის სახალხო გუნდი ჰმართავს დიდ სახალხო კონცერტებს ლექციებით ტფილისში და პროვინციებში. დღეს, კვირას, 15 მაისს, მუშათა საზაფხულო კლუბში მიხეილის ქ. № 65, ხუთშაბათს დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში, შემდეგ ნაძალადევის თეატრში და სხვაგან. მკათათვის პირველ რიცხვებიდან კი გაემგზავრება სამოგზაუროდ პროვინციებში. გუნდში მონაწილეობს 80—100 კაცამდე.

# გაზ. „საქართველოს“ ფონდი

გაზეთ „საქართველოს“ ფონდის გასაძლიერებლად 12 აპრილს ქართულ კლუბში გამართულ საღამოზე შემოვიდა 33.378 მან. 20 კ. გასავალი იყო (ხარჯები) 9.323 მან და 21 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 24.054 მან. და 99 კ., რომელიც გადაეცა „საქართველოს“ რედაქციას.

ამასთანავე მადლობას უძღვნი ვინც ახლო მონაწილეობა მიიღო საღამოს გამართვაში და აგრეთვე იმ პირთ და სავაჭრო ფირმებს, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს შემოწირულების სახით

საღამოს დიასახ. ნინო გვაზავა.

# ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

ამ სახლის დანახვა სიხარულსა ჰგვრიდა ვაჟკაცს, თვალებს უღიმებდა, უხალვათებდა, ზრუნვათაგან შენაოჭებულ შუბლს უხსნიდა ფიქრთაგან მოცულნი შეიქმნებოდნენ დღენი დიდებულსა, ვერ გაიღიმებდა მისი გული ვარდისებური ღიმილით თუ იგი ახალი სავანე მიჰფარებოდა მის თვალთა ხედვას. ეს მხოლოდ იმისთვის კი არა, რომ ის სასახლე ამშვენებდა ახალშენ არტანუჯს, არამედ იმისთვის რომ იმ ეზო—სასახლეს მშვენებით ავსებდა აშოტისათვის შეუდარებელი შუქია, ბუმბერაზისათვის ახლად აღმოცენებული შუქურვარსკვლავი. მძიმე თალხებით მოსილი უბრალო სქელ ლეჩაქში ბადრ მთვარედ ეჩვენებოდა მოხიბლულ ვაჟკაცს, ბინდ ნაკრავ ღრუბლებით გარშემორტყმულ მნათობად. როს ნათელ თვალთა უპეები ცრემლებით ევსებოდნენ ლამაზს, გამიჯნურებულს შიში მოიცავდა, არ დაწვასო დარდის ნაჟურმა სადაფის საგუბრები. ცრემლი რომ ნაკადად გადმომდინარებდა გიშრის მილებით სპეტაკ ლაწვებზედ, რაინდს გული უთქმიდა მხურვალე კოცნით ამოეშრო საგუბრები, რომ მწვავე ნაკადს არ დაეღარნა სპეტაკი კანი ნათელმოსილი.

— მაინც ბედნიერია ნოდარი მკვდარი, როს თავს დასტირის ხორცსხმული ანგელოსი სევდით მოცული. ნეტავ შემეძლოს ვბრძანო და ქანდაკებად მომართმევდნენ შუქურ მომტირალს ან ხატად დამიწერდნენ მის მშვენებას დარდით შეშინებულს, ამბობდა ვაჟკაცი.

და ცდილობდა რომად აღებეჭდა გონებაში მათრობელი სურათი მაღელვებელი, გრძნობათა ამშლელ-აღმტყინებელი, თაყვანების ბრძმედში ვნებათა ჰაჟლების განმასპეტაკებელი. აღიბეჭდაცა! ეხლაც აივანზედ რომ თვალნი დამწუხნა ღელვილმა, ისე ცხადად წარმოუდგა იგი ქანდაკება სიცოცხლით სავსე, რომ მკლავნი გამართა მის მოსაჭდობლად, სანუგეშებლად.

— აღარ შემიძლიან მეტი! მეტი ვარ ქვეყნისა, მონა ერთის ჩემის მხევლისა. იგია მეუფე ჩემის გულისა, სულისდგმა ჩემი. არ იცის უბრყვილომ, მხოლოდ მასშია სიცოცხლის ღონე ჩემი. წავალ, ვეტყვი ყოველსავე, გულახდით ვამცნობ ჩემს შეჭირვებას. თუ მისმენს და მიხსნის, დაუბრუნებს საქართველოს ჭირისუფალს სახსნელად მოვლინებულს; თუ არა, დასძრთვილავს ჩემს სულში აღმოცენებულ სამოთხის ყვავილს სიყვარულისას, კოკორშივე ჩასთუთქავს მას და მასთან ჩემს არსებას, ჩემს მებრძოლ პიროვნებას: გული ჩემი იმ სიყვარულის ყვავილშია ჩანერგილი, მასთან დაჭკნება იგი მასთან მოკვდება და დაიშლებიან ძალნიც ცხოვრებისა ჩემისა. არა, აღარ შემიძლიან თუნდ წუთის დაკარგვა! წავალ, განუცხადებ ..

— ჰა, ჰა, ჰა! როგორ მეშინის, ითქ მისა ეძრწი..

— შუქურ მშვენიერო! მოდის მეფე აშოტი შენს წინაშე თვის სურვილთა სამჟღავნებლად და.... შიში დასცემია მას, ძრწოლა მუხლსა ჰკვეთს მას, ვისზედ იტყვიან: უშიშ არს იგი, ვითა უხორცო. ვინ დაიჯერებს? ვინ მიჰხვდება? ვინ შეიგნებს?

— ვერვინ! ვერც როდის!

— როგორ არა! შეისმენს ის, ვის გასწონია გულს ისარი ტრფობისა ორბის ფრთიანი! მოესმა მკაფიოდ რომდე ჩაფიქრებულს.

და შეკრთა, გამოფხიზლდა, თვალებზედ ხელი მოისვა. მაინც მტკიცედ დაადგა თვის დასკვნას. სხვანაირად ქცევა აღარ ეგებოდა მისგან: ამოშრეტილიყო ფიალა მოთმინებისა. დროც იყო: გლოვის პირველ ხანს გაევლო, დროს თვისი ფრთა შეეხო დარდისაგან ცეცხლდებულ გულისათვის შუქურისა, ფრთა მყინვარე, სევდათა მაგრილებელი, დავიწყების ტალღათა მიმცემ-შემრთველი.

ამ ხნის განმავლობაში და წინადაც, სანამ პაატა ისევ ცოცხალი იყო, მეფის სასახლე საგანგებო ზრუნვით გარს მოჰხვეოდა შუქურის ბინას და ყოველგვარ შეღავათს აძლევდა მას, ყოველსაზე საზრუნველს თავიდან აცილებდა ახალშენ ოჯახს, უხვ სიკეთეს აფრქვევდა იგი იმათ კარ-მიდამოს. ეს ყოველივე თავისთავად ხდება, მეფის სურვილისა და ცნობისაც გარეშე, თითქო ისეთი უხვი ზრუნვა ბუნებრივი იყო სასახლის მხრივ, თითქო შეუძლებელი იყო სხვანაირი ქცევა. იმისათვის ხდებოდა ესე და სრულდებოდა, რომ მეფის ოჯახობის ნივთიერ ყოფას განაგებდა სახლთუხუცესი, რომელიც სწორედ გულთამხილავი იყო აშოტის შესახებ. მის ჰაზრებს თუ გრძნობებს ისე ცხადად ჰხედავდა, მკაფიოდ კითხულობდა, როგორც გაშლილა წიგნს და ეს მისთვისაც, რომ გულწრფელად უყვარდა მეფე, თაყვანსა სცემდა მის დიდებას, საქართველოს მხსნელადა ჰსახავდა მას, ერთადერთ მის საიმედო ჭირისუფლად და მის ცდაში იყო, მეფის ძალ-ღონე სხვა რამ საზრუნველს არ შეეხმარებინა თავისზედ თუნდაც ერთ წამსით. გულკეთილიც იყო სახლთხუცესი. მოსწონდა ნაზ გრძნობათა ფართოდ გაშლა და ვერ შეეგნო, რად უნდა ყოფილიყო ცოდვა, თუ მეფის საპირადო გულისთქმა საიდუმლო დაკმაყოფილებული იქმნებოდა ხანდისხან მაინც. ნუ თუ ესეთი მცირე ჯილდო არ ეკუთვნოდა ქვეყნის დიდ მოჭირნახულეს, როდესაც მის ქვეშევრდომებს, მის ულორს მონებსაც კი, ხელი მიუწვდებოდათ ამისთანა სიტკბოებაზედ. ცდილობდა გაეადვილებინა აშოტისათვის იისი გულითადი სურვილის აღსრულება, მისი ძლიერი მისწრაფება პირადი

50.

მეფე კი იტანჯებოდა დაუშრეტელი სურვილით, მოსვენებას ველარ ჰპოვებდა და ფრიად მღელვარე დიდებული მეფეს მძლედ შემმართებელს მარჯვენა დასდუნებოდა ამ პირად სურვილის აღსრულებისათვის, უმწეოდ იდგა მტერთა მძლეველი ამ მცირე საბრძოლველის წინაშე, მთლად ღონე მიხდილი: უხილავი ლაშქარი სცვიდა ბრძოლის კოშკს, სად დაევანნა შუქურს სასურველს, ალმასის ზღუდე ერტყა მას გადუვალ-გადულახავი. ქალსა სცვიდა მბრძანებლის სურვილისაგან ხალხის უწმიდესი ჩვეულება და ურყევ კანონად დადებული მისი ზნეობა. მკაცრი შეხედულობისა იყო ქართველი ცოლ ქმრობაში ღალატზედ და მრუშობაზედ.

— არა იმრუშო! ბრძანებდა ერი.

და მისი მკვეთრი ხმა მცნება იყო სასტიკის ღვთისა. დამრღვევი ამ მცნებისა ვერ განერებოდა სასჯელს ვერას გზით, ვერ იხსნიდა მას ხალხის რისხვისაგან ვერც ოქრო, ვერც დიდება ან რაიმე ღვაწლი თუნდაც იმავე ერისათვის უხვად მინატანი

— არა იმრუშო! ბრძანებდა ქართველი

და ეს ბრძანება შიშის ზარსა სცემდა თვით ძალამოსილთ და უშიშართა. ესე ბრძანებდა ქართველი, ესევე ბრძანებდა სჯული მისი. მხოლოდ ეკლესიისაგან ნაკურთხი გვირგვინი წმიდა მყოფდა სქესთა შორის კავშირს, განასპეტაკებდა მას, აღამაღლებდა უდიდეს საიდუმლოთა ღირსებამდის. გარნა იგი საიდუმლოც კურთხეული არსებითად განუმეორებელი იყო სჯულის შეხედულობით, როგორც განუმეორებელია და მხოლოთ თვით სიყვარული ჭეშმარიტი, იგი ერთად-ერთი სპეტაკი ყვავილი ნაზ ღეროზედ ობლად ფურჩქვნილი. რა უნდა ექმნა ძლიერ სიყვარულით შეპყრობილ ბუმბერაზს, როცა ხალხის აზრი, როცა ცნობა სჯულისა ერთგვარად ეწინააღმდეგებოდნენ მის გულისთქმასა, სასტიკად წინააღუდგებოდნენ, მთლად ულმობლად?!

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).


ეროვნულ-დემოკრატ ამხანაგთა
კონფერენცია
დანიშნულია ორშაბათს, თიბათვის 16.
საქმიანობა: უცხოეთ ამხანაგთა კონფერენციის და ჩვენი მუშაობის საკითხი განიხილავთ მხარეში.

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება“
ველიამინოვის ქუჩა № 20.
იღებს ყოველ-გვარ სტამბის და საწიგნე საქმეებს და გამოცემა მიიღება მუშაობა ... ხელოვნურად მცირე დროში ... [illegible]

საუწყებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო
ამხანაგობებს
სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.
(25—51—22)


# მატარებლების მიმოსვლა

11 თიბათვიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო სად. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ — ერევანში
მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.
მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ
მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან
მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.
თბილისსა და მცხეთის შუა
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.
მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით..

თბილისიდან-მელაანამდე.
საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.
საგარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.
საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.
საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მიდის თბილისში საღ. 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.
მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.
მატარებელი № 5. წნორის წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)


ე ქ ი მ ი
ა. მ. პაატაშვილი
იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კაპიძისა).
(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენი...ილი და ...სევალის ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
მეგილიანი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მ ო ნ ს ე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ...ის აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოთერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—43


სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.